ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები; 2
- „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონი; 3
- „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები; 7
- „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები ; 8
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები; 9
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები; 12
- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე; 14
- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებები; 15
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები; 16

„2026 წლის 17 ივნისის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და ანალიზი არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 4 მარტსა და 2026 წლის 15 აპრილს ცვლილებები შევიდა “გრანტების შესახებ” საქართველოს კანონში. ორივე თარიღით გათვალისწინებული ცვლილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

2026 წლის 4 მარტის ცვლილებით კანონის მე-2 მუხლს 1^3 პუნქტის შემდეგ დაემატა 1^4–1^6 პუნქტები, რომლებითაც გრანტად დამატებით მიჩნეულ იქნა ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქის მიერ საქართველოს მოქალაქისთვის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე პირისთვის, ამ კანონის მე-4 მუხლის „$დ^1$“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირისთვის ან საქართველოს იურიდიული პირისთვის ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრები, რომლებიც ხმარდება ან შეიძლება მოხმარდეს საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოსახდენად განხორციელებულ ან განსახორციელებელ ისეთ საქმიანობას, რომელიც საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, გატარებისკენ ან შეცვლისკენ არის მიმართული, აგრეთვე ხმარდება ან შეიძლება მოხმარდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს. 2026 წლის 15 აპრილის ცვლილებით ამ მუხლს შენიშვნად განესაზღვრა, რომ ზემოხსენებული მოქმედება არ ვრცელდება საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე, საკონსულო დაწესებულებასა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე.

2026 წლის 4 მარტის ცვლილებით, ასევე, გრანტად მიჩნეულ იქნა 1^4 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქის მიერ საქართველოს მოქალაქისთვის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე პირისთვის, ამ კანონის მე-4 მუხლის „$დ^1$“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირისთვის ან საქართველოს იურიდიული პირისთვის:

- ა) ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრები, რომელთა სანაცვლოდ ამ სახსრების მიმღები ამავე სახსრების გამცემს უწევს ტექნიკურ დახმარებას ტექნოლოგიების, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარების, მომსახურების ან/და სხვა სახის დახმარების ფორმით (ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრების სანაცვლოდ ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყნის მთავრობაში ან მის წარმომადგენლობაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმებული თანამშრომლის მიერ ამ დამსაქმებლისთვის გაწეულ ტექნიკურ დახმარებაზე);
- ბ) გაწეული ტექნიკური დახმარება ტექნოლოგიების, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარების, მომსახურების ან/და სხვა სახის დახმარების ფორმით;
- გ) უსასყიდლოდ გაწეული, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტექნიკური დახმარება.

ცვლილებით, ასევე, განისაზღვრა, რომ ამ კანონის მე-2 მუხლის ზემოხსენებული ქვეპუნქტებით- 1^4-1^6 გათვალისწინებული გრანტის გაცემა საჭიროებს საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/

ორგანოს თანხმობას, რომლის საფუძველია მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება და კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის წერილობით გადაწყვეტილება. გრანტის გამცემმა ამ მუხლით გათვალისწინებული წერილობითი გადაწყვეტილება და წერილობითი ხელშეკრულების პროექტი თანხმობის მისაღებად უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს, გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

გრანტად მიჩნეულ იქნა, ასევე, სახელმწიფოს იურიდიული პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული მისი წარმომადგენლობისთვის, ფილიალისთვის ან განყოფილებისთვის ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრები (ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად გადაცემულ სახსრებზე).

ასევე, კანონის მე-2 მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა, რომ გრანტად არ მიიჩნევა სამეწარმეო მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები, გარდა იმ იურიდიული პირისთვის გადაცემული სახსრებისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

კანონის მე-4 მუხლს ასევე დაემატა “დ[1]” ქვეპუნქტი, რომლითაც გრანტის მიმღებად ასევე განისაზღვრა სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა არსებითად მოიცავს საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტივობას.

ასევე, ცვლილების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება განისაზღვრა ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნების დარღვევისათვის.

2026 წლის 15 აპრილის ცვლილებით 5[1] მუხლის მე-3 ნაწილს, რომელიც ჩამოთვლის გამონაკლის ორგანიზაციებს/ დაწესებულებებს, რომლებზეც არ მოქმედებს უცხოური გრანტის გამცემის მიერ გრანტის გაცემის ამ კანონით დადგენილი წესი, მიემატა „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაცია და მის მიერ გაცემული გრანტები.

2. „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონი

2026 წლის 1 აპრილს მიღებულ იქნა კანონი „ფაქტორინგის შესახებ“, რომლის 1-32 მუხლები ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 32-34 მუხლები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მიხედვით კანონი განსაზღვრავს ფაქტორინგის ცნებასა და საგანს, ფაქტორინგის მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ფაქტორინგის სახეებს, ფაქტორინგის განხორციელების პირობებსა და წესს. ამავე კანონით ფაქტორინგი არის გარიგება, რომელიც გულისხმობს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დებიტორული დავალიანების გადაცემას და რეგისტრირებულია ფაქტორინგის რეესტრში, რის შედეგადაც დებიტორული დავალიანებიდან მომდინარე მოთხოვნაზე საკუთრების უფლება შესაბამის ფაქტორს გადაეცემა.

ზემოხსენებული კანონის მიღებიდან გამომდინარე ცვლილებები შეეხო სხვა კანონებსაც, მათ შორის (თუმცა არამხოლოდ):

1. **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონი**

2026 წლის 1 აპრილს ცვლილებები შევიდა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“

საქართველოს კანონში, რომელიც ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებები შეეხო კანონის „ფაქტორინგის შესახებ“ კანონთან მიმართებაში საკითხებს, კერძოდ, მე-2 მუხლის პირველ პუნქტს (რომელიც თავის მხრივ ტერმინთა განმარტების მუხლია) დაემატა „ფაქტორინგის“ ტერმინი. მე-4 მუხლის ცვლილების მიხედვით მიკროსაფინანსო ორგანიზაციას აეკრძალა წილობრივი მონაწილეობა „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფაქტორინგულ კომპანიაში და ასევე, დარღვევად და სანქციის დაწესების საფუძვლად განისაზღვრა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორის მიერ „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა.

2. „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონი

2026 წლის 1 აპრილს ცვლილება შევიდა „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილების მიხედვით, სეკიურიტიზაციის სპეციალურ მიზნობრივ ერთეულსა და მის მიერ ამ კანონის შესაბამის საქმიანობაზე არ გავრცელდება „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

3. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი

2026 წლის 1 აპრილს ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებით განიმარტა „ფაქტორინგი“ კანონის პირველი მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის მიხედვით. ასევე, კომერციულ ბანკს აეკრძალა პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ნებისმიერი ოდენობით წილს „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფაქტორინგულ კომპანიაში, აგრეთვე, იმ იურიდიული პირის კაპიტალში, რომელიც არ არის ფინანსური ინსტიტუტი ან რომლის საქმიანობაც არ არის დაკავშირებული საბანკო საქმიანობასთან ან კომერციული ბანკის სოციალურ პროექტებთან. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დილინგური ოპერაციების განხორციელებისთვის განკუთვნილ ფასიან ქაღალდებზე.

4. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი

2026 წლის 1 იანვარს ცვლილებები შევიდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან.

აღნიშნული ცვლილებით სახელმწიფო ორგანოს ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომელშიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50%-ს არ აღემატება, ეკრძალება ფინანსურ ინსტიტუტში წილის ფლობა, გარდა „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ ფაქტორინგულ პლატფორმაში წილების ფლობისა, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ პლატფორმაში წილების ფლობისა.

ასევე, ცვლილების მიხედვით მე-2 მუხლის 54-ე პუნქტით ფინანსურ ინსტიტუტად განისაზღვრა ფაქტორინგული კომპანია.

5. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი

2026 წლის 1 აპრილს ცვლილება შევიდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილების მიხედვით საინვესტიციო ფონდსა და მის მიერ ამ კანონის შესაბამისად განხორციელებულ საქმიანობაზე არ

ვრცელდება „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

6. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი

2026 წლის პირველ აპრილს ცვლილებები შევიდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ძალაში შევა 2027 წლის 1-ლი იანვრიდან.

ცვლილებების მიხედვით, ფაქტორინგული კომპანია და ფაქტორინგული პლატფორმა ჩაითვლება ანგარიშვალდებულ პირად და მისთვის სავალდებულო გახდება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება. შესაბამისად კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში არსებულ ანაგრიშვალდებულ პირთა ჩამონათვალს დაემატა ორი ქვეპუნქტი: ა.ს) ფაქტორინგული კომპანია; ა.ტ) ფაქტორინგული პლატფორმა.

რაც შეეხება, საქართველოს ეროვნული ბანკს იგი განისაზღვრება ფაქტორინგული კომპანიის და ფაქტორინგული პლატფორმის ზედამხედველად „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობის ნაწილში. სწორედ ამიტომ შეიცვალა ძველი რედაქცია: „საქართველოს ეროვნული ბანკი – ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“, „ა.დ“–„ა.თ“ და „ა.ლ“–„ა.რ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირებისთვის“ და ჩამონათვალს დაემატა ა.ს და ა.ტ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები.

7. „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ “ საქართველოს კანონი

2026 წლის 1 აპრილს ცვლილება შევიდა „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევა 2027 წლის 1 იანვრიდან.

კერძოდ, კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „ქ“ ქვეპუნქტი - ფაქტორინგის ცნება, რომელიც „ფაქტორინგის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ გარიგებად განიმარტა.

ასევე, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განხორციელდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სესხების, გარანტიების, აკრედიტივებისა და ლიზინგის გაცემა, ფაქტორინგის განხორციელება ამ კანონით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში“ შესაბამისად, შეიცვალა წინა რედაქციაში არსებული ჩანაწერი ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება ტერმინით- ფაქტორინგის განხორციელება.

ცვლილება შეეხო კანონის მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მიკრობანკის საინვესტიციო შეზღუდვებსაც. აქამდე მოქმედი რეგულაციით, მიკრობანკს უფლება ჰქონდა ინვესტიცია განეხორციელებინა (მათ შორის, შეექმნა ან შეეძინა შვილობილი საწარმო) მხოლოდ ისეთ იურიდიულ პირებში, რომლებიც წარმოადგენდნენ ფინანსურ ინსტიტუტებს, ან რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იყო თავად მიკრობანკის პროფილთან ან მის სოციალურ პროექტებთან. ამასთან, მოქმედებდა მკაცრი პროცენტული ლიმიტები: თითოეულ ასეთ საწარმოში მიკრობანკის წილი არ უნდა აღმატებოდა მისი სააქციო კაპიტალის 20%-ს, ხოლო განხორციელებული ინვესტიციების ჯამური ღირებულება შეზღუდული იყო სააქციო კაპიტალის 30%-იანი ზღვრით (თუმცა ეროვნულ ბანკს შეეძლო მიკრობანკი ამ ლიმიტებისგან მაქსიმუმ 1 წლის ვადით გაეთავისუფლებინა).

საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, აღნიშნული შეზღუდვებიდან სრულად იქნა

ამოღებული ფაქტორინგული კომპანიები. ახალი რეგულაციით, მიკრობანკებს ეძლევათ უფლება, ფაქტორინგულ კომპანიებში განახორციელონ ნებისმიერი მოცულობის ინვესტიცია მათ შორის, დააფუძნონ ან შეიძინონ ისინი სააქციო კაპიტალის 20%-იანი და 30%-იანი ლიმიტების დაცვის გარეშე. რაც შეეხება სხვა ტიპის პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებსა თუ საწარმოებს, მათზე ზემოთ ხსენებული პროცენტული შეზღუდვები კვლავ ჩვეულ რეჟიმში გავრცელდება.

გარდა ამისა, 33-ე მუხლს (დარღვევების ჩამონათვალს) დაემატა ვ1 ქვეპუნქტი: „მიკრობანკმა, „ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა დაარღვია „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები“. შესაბამისად, დარღვევათა სიაში განისაზღვრა „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნების დარღვევა.

8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2026 წლის 1-ლ აპრილს ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ცვლილებების საფუძველს წარმოადგენს ,,ფაქტორინგის შესახებ'' საქართველოს კანონი.

2026 წლის 1-ლი აპრილის ცვლილებებით განისაზღვრა, რომ ფაქტორინგის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე სამართალურთიერთობაზე არ ვრცელდება უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფაქტორინგის შედეგად დებიტორული დავალიანების ფაქტორისთვის გადაცემის შემთხვევაში გირავნობის უფლება წყდება დებიტორულ დავალიანებაზე და ფაქტორის საკუთრებაში გადადის გირავნობის უფლებით დაუტვირთავი ქონება. ამ შემთხვევაში გირავნობის უფლება არსებობას აგრძელებს აღნიშნული დებიტორული დავალიანების ფაქტორის საკუთრებაში გადაცემის შედეგად მიღებულ შემოსავალზე. თუ ფაქტორს დებიტორული დავალიანების ნაწილი გადაეცემა, ეს წესი აღნიშნული დებიტორული დავალიანების მხოლოდ გადაცემულ ნაწილზე გავრცელდება.

ცვლილებების მიხედვით, აკრძალულია ფიზიკური პირის (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმის) საცხოვრებელი ტიპის უძრავი ქონების ფაქტორინგის, მათ შორის, რევერსიული ფაქტორინგის, ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება, თუ არ დასტურდება, რომ საჯარო რეესტრში აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებლის/მისი საოჯახო მეურნეობის წევრის საკუთრებაში დამატებით არანაკლებ 1 საცხოვრებელი ტიპის უძრავი ქონებაა რეგისტრირებული.

2026 წლის 1-ლ აპრილის კანონის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები ამოქმედდება 2027 წლის 1-ლი იანვრიდან.

9. “საჯარო რეესტრის შესახებ” საქართველოს კანონი

2027 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ადგენს ფაქტორინგის სახელმწიფო რეესტრის შექმნისა და წარმოების სამართლებრივ საფუძვლებს. კანონში ემატება ახალი IV[4] თავი, რომელიც განსაზღვრავს ფაქტორინგის რეგისტრაციის წესებს, პრინციპებსა და სამართლებრივ შედეგებს.

ფაქტორინგის რეესტრი წარმოადგენს ფაქტორინგის სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობას.

ცვლილებების მიხედვით, მხოლოდ ფაქტორს აქვს უფლება, სარეგისტრაციო სააგენტოს ელექტრონულად წარუდგინოს განაცხადი. რეესტრში რეგისტრირდება საგადასახადო ანგარიშფაქტურის ნომერი, დებიტორული

დავალიანების მთლიანი და ფაქტორინგში გამოყენებული ოდენობა, ფაქტორისა და მოთხოვნის დამთმობი მხარის დასახელება, აგრეთვე დავალიანების დაფარვის თარიღი. ფაქტორინგის ძალაში შესვლა უკავშირდება დებიტორულ დავალიანებაზე საკუთრების უფლების რეესტრში რეგისტრაციის მომენტს, თუმცა აუცილებელია აგრეთვე მოთხოვნის დამთმობი მხარის ელექტრონული თანხმობა, ამ უკანასკნელის გარეშე გარიგება სამართლებრივ ძალას არ იძენს.

მნიშვნელოვანია, რომ ერთსა და იმავე დებიტორულ დავალიანებაზე ერთდროული ორმაგი რეგისტრაცია გამოირიცხება, სააგენტო ვალდებულია რეგისტრაციამდე წინასწარ გადაამოწმოს ასეთი დამთხვევა. მოვალის მიერ ვალდებულების სრული შესრულების შემდეგ კი ფაქტორი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა მოითხოვოს საკუთრების უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია.

ფაქტორინგის რეესტრი შემოსავლების სამსახურის მონაცემებთან იქნება ინტეგრირებული საგადასახადო ანგარიშფაქტურების ავტომატური ვერიფიკაციის მიზნით. აღსანიშნავია, რომ სარეგისტრაციო ორგანოს როლი შეზღუდულია, იგი პასუხისმგებელი არ არის არც წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე და არც იმაზე, ჰქონდა თუ არა ფაქტორს საერთოდ რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება; სააგენტო მხოლოდ ფაქტორის მიერ მოწოდებული და შემოსავლების სამსახურის მონაცემებს შორის ფორმალურ შესაბამისობას ამოწმებს.

3. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილები

2026 წლის 27 მაისს ცვლილებები შევიდა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში.

კერძოდ, ცვლილებების შესაბამისად, გარე რეკლამის მოწესრიგების, ნებართვების გაცემისა და ადმინისტრირების პროცესში ერთვებიან თვითმმართველი ქალაქების მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ეს ცვლილება არ შეეხება დედაქალაქს და ვრცელდება ყველა თვითმმართველ ქალაქზე, გარდა თბილისისა.

აქამდე მოქმედი რედაქციით, კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სანებართვო სისტემის შემოღების შემთხვევაში გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ჰქონდა, ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტით თავად რეკლამაზე სავალდებულო იყო მხოლოდ ამ ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის ნომრის მითითება.

შესაბამისად, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გარე რეკლამისადმი წაყენებული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მუნიციპალურ ორგანოებს ეკისრებოდათ, ხოლო 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სამართლებრივი დავის შემთხვევაში რეკლამის სუბიექტებს სასამართლოში მხოლოდ ამ ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეეძლოთ.

ცვლილებით მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით, თვითმმართველ ქალაქებში (თბილისის გარდა) გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან ერთად, უკვე თავად ქალაქის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსაც შეუძლია. ამასთანავე, მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, გარე რეკლამაზე დასაშვები ხდება როგორც მუნიციპალიტეტის ორგანოს, ისე აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებართვის ნომრის მითითება.

21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტთან ერთად დაეკისრა თვითმმართველი ქალაქის მიერ დაფუძნებულ სსიპ-საც, რაც, 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სარეკლამო ბაზრის მონაწილეებს (დამკვეთს, მწარმოებელსა და

გამავრცელებელს) ამ უწყების გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გასაჩივრების უფლებასაც აძლევს.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სარჩელის სასამართლოში შეტანა ავტომატურად არ შეაჩერებს გამოცემული აქტის ან მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, თუ თავად სასამართლო არ მიიღებს სპეციალურ გადაწყვეტილებას მისი შეჩერების თაობაზე.

4. „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 28 მაისს ცვლილება შევიდა „ტურიზმის შესახებ" საქართველოს კანონში. ცვლილების ძირითადი ნაწილი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ნაწილი 2026 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა.

ცვლილების მიხედვით კანონს დაემატა ახალი 11[1] მუხლი.

ამ მუხლის თანახმად, ტურისტული საქმიანობის სუბიექტები (ტუროპერატორი, ტურისტული სააგენტო და ტურისტული გიდი) ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში და წერილობით აცნობონ ადმინისტრაციას საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან მონაცემთა ცვლილების შესახებ. ამასთან, 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი ხელახლა ჩამოყალიბდა: თუ ადრე ეს პუნქტი უცხო ქვეყნის მოქალაქე ტურისტული გიდის რეგისტრაციის წესს, პირობებსა და საფასურს და მის სარეგისტრაციო ვალდებულებას აწესრიგებდა, ახალი რედაქციით იგი მხოლოდ ასეთი გიდის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელების წესს უთითებს, რომელიც მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. შედეგად, სუბიექტების აღრიცხვა საჯარო რეესტრიდან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაზე გადავიდა.

მეორე ძირითადი ცვლილება შეეხო რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებისა და მთის გამყოლების რეგულირებას. აღნიშნულის კვალდაკვალ, 34-ე მუხლი, რომელიც აქამდე კონკრეტულად სამი გამყოლის საქმიანობასა და სერტიფიცირებას აწესრიგებდა, ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და უკვე ზოგადად რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელებას არეგულირებს: ასეთი მომსახურების სფეროები და უფლებამოსილებები განისაზღვრება მთავრობის ტექნიკური რეგლამენტით, მას მხოლოდ უფლებამოსილი პირი ახორციელებს. მიმწოდებელთა სერტიფიცირებას უზრუნველყოფს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომელიც აწარმოებს მათ რეესტრს და დარღვევისას იღებს სათანადო ზომებს.

გარდა ამისა, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც მთავრობა დადგენილებით ადგენს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების ნუსხას, მათი განხორციელების წესს და განსაზღვრავს, რომელ მომსახურებებს სჭირდება პროფესიული ან/და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

ასევე ცვლილების შედეგად შეიცვალა 49 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობათა ჩამონათვალი ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის. ცვლილებით დაზუსტდა ჯარიმები და დაემატა განმეორებითი დარღვევის შემთხვევები.

კერძოდ, სათანადო სერტიფიკატის გარეშე რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელება ისჯება 3 000 ლარით, განმეორებისას 6 000 ლარით; ტექნიკური რეგლამენტის დარღვევით განხორციელებისთვის დაწესდა გაფრთხილება ან 1 500 ლარი, განმეორებისას 3 000 ლარი; ბაზაში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა ისჯება 500 ლარით, განმეორებისას 1 000 ლარით; ადმინისტრაციისთვის

უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა 1 000 ლარით, განმეორებისას 2 000 ლარით; ტუროპერატორის მიერ გადახდისუუნარობისგან დაცვის უზრუნველყოფის გარეშე საქმიანობა 1 500 ლარით, განმეორებისას 3 000 ლარით; ტურიზმის სფეროში კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი წარმომადგენლისთვის საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, განმეორებით 1000 ლარის ოდენობით. ხოლო ორგანიზაციის სტატუსის გარეშე საქმიანობა 1 000 ლარით, განმეორებისას 2 000 ლარით.

2027 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდება ტურისტული პაკეტისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებების მთელი რეგულირება (წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, ხელშეკრულების შინაარსი, ფასის ცვლილება, შეწყვეტა, ტუროპერატორის პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურება და სხვა), ასევე ამოქმედდება დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებების რეგულირება. ამავე თარიღიდან ამოქმედდება ჯარიმები სათანადო სერტიფიკატის გარეშე და ტექნიკური რეგლამენტის დარღვევით რისკის შემცველი მომსახურების განხორციელებისთვის.

2027 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება ჯარიმა ტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისთვის. ბაზაში რეგისტრაციის ვალდებულება უკვე 2026 წლის ივნისიდან მოქმედებს, მაგრამ მისი დარღვევისთვის დაჯარიმება 2027 წლის იანვრიდან იწყება.

ასევე შეჩერებულია 49-ე მუხლის 1³ პუნქტის მოქმედება 2027 წლის 1 იანვრამდე. ეს პუნქტები ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის წესს ანუ თავად სანქცირების მექანიზმი 2027 წლის იანვრამდე გაჩერებულია, რაც ემთხვევა ბაზაში რეგისტრაციის ჯარიმების ამოქმედების თარიღს.

2030 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდება გადახდისუუნარობისგან დაცვის მთელი თავი (ტუროპერატორის გადახდისუუნარობისას ტურისტის წინასწარ გადახდილი თანხისა და რეპატრიაციის უზრუნველყოფა, ფინანსური გარანტიის ოდენობის გამოთვლა და გამოყენება). ამავე თარიღს უკავშირდება ჯარიმები ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფის წარუდგენლობისთვის და ტუროპერატორის მიერ გადახდისუუნარობისგან დაცვის გარეშე საქმიანობისთვის.

5. "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 4 თებერვალს ცვლილებები შევიდა "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში.

კონკრეტულად, განიმარტა ზოგადი განათლება, რომლის მიხედვითაც საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს არანაკლებ 11 წელს და არაუმეტეს 12 წელს. ასევე, კანონს დაემატა ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი; საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი. ასევე, ნებაყოფლობითი გახდა XII კლასი და სრული ზოგადი განათლების მიღებულად ჩაითვლება, თუ პირი დაძლევს X და XI კლასებს, რის საფუძველზეც იგი მიიღებს ატესტატს. ასევე, გათვალისწინებულ იქნა ნებაყოფლობით XII კლასის დამთავრების შემთხვევაში ატესტატის გაცემაც.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკად განისაზღვრა 6 წელი, რომელიც პირს უსრულდება 15

სექტემბრის ჩათვლით. ასევე, უცხოურ ენაზე განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისთვის დასაშვები გახდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სასწავლო წლების განსხვავებული განაწილება, იმ პირობით, რომ აღნიშნული საფეხურების სწავლების წლების ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს და არ ჩამოუვარდებოდეს 12 წელს.

კანონს დაემატა მე-19[1] მუხლი, რომლის მიხედვითაც საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სასკოლო ფორმის ტანსაცმლის ტარება სავალდებულო გახდა. ამასთანავე, მოსწავლე შეიძლება გათავისუფლდეს აღნიშნული ვალდებულებისგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საჯარო სკოლისა და სამინისტროს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ასევე, საქართველოს მთავრობას დაეკისრა ვალდებულება დაამტკიცოს და განახორციელოს სკოლის მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უსასყიდლოდ უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა, აგრეთვე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების სასკოლო ფორმის ტანსაცმლით უსასყიდლოდ უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.

ცვლილებით, სამინისტროს უფლებამოსილებას დაემატა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ისე კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების, მათი წესდების დამტკიცებისა და XII კლასში მოსწავლეთა/პირთა რეგისტრაციის შედეგების საფუძველზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ხანგრძლივობის განსაზღვრის უფლებამოსილება. ამასთან, სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს მის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, განათლების სფეროში დასახული მიზნების განსახორციელებლად დააფუძნოს როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ხოლო მინისტრის გადაწყვეტილებით აღნიშნულ იურიდიულ პირებს შეიძლება დაევალოთ ისეთი საქმიანობის ან პროექტების განხორციელება, რომლებიც აუცილებელია სამინისტროს სისტემისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მიზნების მისაღწევად. ცვლილებით სამინისტროს განესაზღვრა დამატებითი უფლებამოსილებები, კერძოდ, იგი ადგენს საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა სასკოლო ფორმით უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მათ შორის ფორმის ნიმუშს, საფასურს, რეალიზებისა და გადაცემის წესს; ასევე უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების ან კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე შექმნას ზოგადსაგანმანათლებლო სახელმძღვანელოები, უზრუნველყოს მათი ბეჭდვა და სკოლებისთვის უსასყიდლოდ მიწოდება, აგრეთვე განსაზღვროს მათი საფასური და გამოყენების წესები; გარდა ამისა, ამტკიცებს სკოლაში ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების ზოგად წესს.

ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად სამხედრო მომზადების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ამტკიცებს მის წესდებას, ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს და უფლებამოსილია განახორციელოს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. აღნიშნული დაწესებულება ექვემდებარება ავტორიზაციას მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან და ახორციელებს სწავლას საბაზო საფეხურიდან (IX კლასიდან) და საშუალო საფეხურზე (გარდა XII კლასისა).

განისაზღვრა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სასწავლო პროცესი განახორციელოს სამინისტროს მიერ შექმნილი ან/და სამინისტროსთან შეთანხმებული ზოგადსაგანმანათლებლო სახელმძღვანელოებით, ხოლო აღნიშნული სახელმძღვანელოების სამინისტროსთან შეთანხმების წესი და ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დამატებით, გამკაცრდა პერსონალის დასაქმებასთან დაკავშირებული შეზღუდვები: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმება დაუშვებელია პირისათვის, რომელსაც ჩადენილი აქვს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. ასევე დადგინდა, რომ მოსწავლის მიმართ ძალადობის გამო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნულ პირს ეზღუდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლება, ხოლო ამ შეზღუდვის ადმინისტრაციული წარმოების წესი განისაზღვრება მინისტრის მიერ.

ცვლილებით განისაზღვრა სასწავლო პროცესის მართვისა და კონტროლის ახალი მექანიზმები: პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა და სასწავლო მასალების ნუსხა ექვემდებარება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს თანხმობას, ხოლო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დგინდება სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სასწავლო მასალების ნუსხა.

კანონს ასევე დაემატა გარდამავალი რეგულაციები, რომლითაც 2026 წლიდან ეტაპობრივად იცვლება ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სტრუქტურა. კერძოდ:

- დადგინდა საბაზო საფეხურის დასრულების და ატესტატის გაცემის ახალი წესები, რომლებიც დაკავშირებულია IX და X კლასებში მიღწევის დონის დაძლევასთან;
- განისაზღვრა კონკრეტული გარდამავალი შემთხვევები იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც 2025–2026 სასწავლო წელს უკვე დაძლიეს ან დაძლევენ შესაბამის კლასებს;
- დადგინდა, რომ სრული ზოგადი განათლების მისაღებად 2028–2029 სასწავლო წლამდე სავალდებულოა XII კლასის დაძლევა, ხოლო აღნიშნული პერიოდიდან XII კლასი ხდება ნებაყოფლობითი;
- განისაზღვრა სხვადასხვა ტრანზიციული რეჟიმი იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს ძველი სასწავლო სისტემის პირობებში, მათ შორის X და XI კლასების დაძლევის პირობები და ექსტერნატის გამოცდების ორგანიზების ვალდებულება სამინისტროს მხრიდან;

ასევე დადგინდა მინისტრის უფლებამოსილება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გადაწყვიტოს ის შემთხვევები, რომლებიც არ არის პირდაპირ გათვალისწინებული აღნიშნული გარდამავალი მუხლით.

ამავე კანონში განხორციელდა ცვლილებები 2026 წლის 1 აპრილსაც და დაემატა ახალი შინაარსის მუხლი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ 2026–2027 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყება, გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მშობლის გადაწყვეტილებით, ნებაყოფლობით შესაძლებელია იმ პირისთვისაც, რომელსაც 6 წელი უსრულდება 2026 წლის 16 სექტემბრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 4 თებერვალს განხორციელდა ცვლილებები “უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც:

აკადემიური უმაღლესი განათლება განიმარტა, რომ წარმოადგენს უმაღლესი განათლების საფეხურს, რომელიც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

განისაზღვრა „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ როგორც ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეფუძნება შესაბამის სტანდარტს და რომლის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისთვის განსაზღვრულ შედეგებს.

ასევე ჩამოყალიბდა „წამყვანი პროფესორის“ სამართლებრივი ცნება, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირისა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობას.

დაზუსტდა „სტუდენტის“ ცნება, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ და შესაბამის პროგრამაზე სწავლების პროცესში მყოფ პირებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის / სტომატოლოგის, დოქტორანტურა), ასევე უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეებსა და ნეიტრალური დოკუმენტების მფლობელ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში საქართველოში განხორციელებულ სასწავლო ან/და კვლევით კომპონენტებში.

ამასთან, განისაზღვრა „უნივერსიტეტის“ ცნება, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა, რომელიც ახორციელებს როგორც მრავალსაფეხურიან აკადემიურ პროგრამებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და სამედიცინო/ სტომატოლოგიური პროგრამები), ასევე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

დამატებით, დაზუსტდა ენობრივი ინტეგრაციისა და სახელმწიფო ენის სწავლების მექანიზმები: განისაზღვრა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“, როგორც სპეციალური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ ქართული ენის (და შესაბამის შემთხვევებში აფხაზური ენის) ცოდნის იმ დონემდე დაუფლებას, რომელიც აუცილებელია შემდგომი აკადემიური პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად, მათ შორის იმ პირთათვისაც, რომლებიც ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.

ასევე ჩამოყალიბდა „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის“ ცნება, როგორც ბაკალავრიატის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის /სტომატოლოგის პროგრამების კურიკულუმში შემავალი ქართული ენის (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასევე აფხაზური ენის) სპეციალური საგანმანათლებლო კომპონენტი.

განისაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის

სახელმწიფოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტისთვის სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლა სავალდებულოა, რაც მიზნად ისახავს სახელმწიფო ენობრივი კომპეტენციის უზრუნველყოფას აკადემიური პროცესის ეფექტიანი განხორციელებისათვის.

ამასთან, განისაზღვრა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაციის სამართლებრივი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი დადგენილება რეორგანიზაციის მიზნების, ფორმის, ვადებისა და მართვის დროებითი მექანიზმების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული აქტით შესაძლებელია აგრეთვე დროებით შეიცვალოს ან შეჩერდეს მართვის ორგანოების უფლებამოსილებების განხორციელების წესი, თუ ეს აუცილებელია რეორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.

დამატებით, რეორგანიზაციის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, მინისტრს მიენიჭა უფლებამოსილება დანიშნოს სხვადასხვა ხელმძღვანელი პირების მოვალეობის შემსრულებლები (რექტორი, რექტორის მოადგილეები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი) და შექმნას დროებითი კოლეგიური მმართველი ორგანო, დროებითი მმართველი საბჭო, რომელსაც შეიძლება დროებით გადაეცეს აკადემიური საბჭოსა და/ან წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებები. აღნიშნული მექანიზმი განისაზღვრა როგორც დროებითი და მიზნობრივი ინსტრუმენტი, რომელიც მოქმედებს მხოლოდ რეორგანიზაციის პროცესის ფარგლებში და წყდება მისი დასრულებისთანავე ან ახალი მმართველი ორგანოების ფორმირების შემდეგ.

ასევე დაზუსტდა აკადემიური საბჭოს დაკომპლექტების წესი, რომლის მიხედვითაც მის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს წამყვანი პროფესორი, პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო ერთი და იგივე პირი აკადემიური საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შემადგენლობაც, რომელიც მოიცავს წამყვან პროფესორს, პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს, ასისტენტ-პროფესორსა და ასისტენტს. ამასთან, დაკონკრეტდა წამყვანი პროფესორის სტატუსი, რომლის მიხედვითაც იგი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობას და ამავდროულად მონაწილეობს აღნიშნულ საქმიანობებში.

„წამყვანი პროფესორის“ თანამდებობაზე არჩევის პირობები განისაზღვრა უფრო დეტალურად და მკაცრად. აღნიშნულ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია არანაკლებ 8 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება, აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევები, რაც მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობას, აგრეთვე აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილ დამატებით პირობებს.

ამასთან, დადგენილ იქნა გარდამავალი რეჟიმი სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იმ პროგრამების მიმართ, რომლებიც 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხორციელდება, მაგრამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პროგრამათა (კურიკულუმების) ჩამონათვალში, დაწესდა დროებითი სამართლებრივი შესაძლებლობა მათი განხორციელების გაგრძელებისა აკრედიტებულ ან ავტორიზებულ რეჟიმში განსაზღვრული ვადებით.

აღნიშნული გარდამავალი ვადები განისაზღვრა პროგრამების მიხედვით, კერძოდ:

- არანაკლებ 180-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამები შესაძლებელია განხორციელდეს 2029-2030 სასწავლო წლის დაწყებამდე;
- არანაკლებ 240-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამები 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე;
- სამაგისტრო პროგრამები 2028-2029 სასწავლო წლის დაწყებამდე;
- სადოქტორო პროგრამები 2029-2030 სასწავლო წლის დაწყებამდე;
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამები, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა, დიპლომირებული მედიკოსისა და დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამები 2030-2031 სასწავლო წლის დაწყებამდე.

ცვლილებით დადგინდა გარდამავალი რეგულაცია უმაღლესი განათლების დაფინანსების სფეროში, რომლის მიხედვითაც ამ კანონის ამოქმედებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების სახელმწიფო დაფინანსება გაგრძელდება 2030–2031 სასწავლო წლის ჩათვლით, იმ პირობებით, რომლებიც მოქმედებდა ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

ამასთან, განისაზღვრა, რომ აღნიშნული კატეგორიის სტუდენტთა დაფინანსების კონკრეტული წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რითაც მთავრობას მიენიჭა შესაბამისი მარეგულირებელი უფლებამოსილება გარდამავალი რეჟიმის ფარგლებში.

7. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

2026 წლის 3 აპრილს ძალადაკარგულად გამოცხადდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2023 წლის 30 ივნისის კანონი.

2023 წლის 30 ივნისის კანონით გათვალისწინებული ცვლილებები უნდა ამოქმედებულიყო 2026 წლის 1-ლი სექტემბრიდან. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ასამოქმედებელ რამდენიმე ტერმინოლოგიურ ცვლილებას. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 30 ივნისის კანონი გვთავაზობდა მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონის ტერმინის განახლებულ შინაარსს. კერძოდ, 2023 წლის 30 ივნისის კანონის მიხედვით, სპეციალური რეჟიმის ზონას უნდა მოეცვა შემდეგი ტერიტორიები:

- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ტერიტორიები;
- საქართველოს ტყის კოდექსითა და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიები;
- კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები;
- საკურორტო-სარეკრეაციო და სხვა ზონები, სადაც მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის დამატებითი სპეციალური პირობებია დადგენილი.

ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერიტორიებს, საქართველოს ტყის კოდექსითა და „წყლის შესახებ“ საქართველოს

კანონით განსაზღვრული ტერიტორიებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ, საკურორტო-სარეკრეაციო და სხვა ზონებს, სადაც მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის დამატებითი სპეციალური პირობებია დადგენილი.

გარდა აღნიშნულისა, საყურადღებოა, რომ გამოცხადა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში არსებული მითითება „წყლის შესახებ'' საქართველოს კანონთან დაკავშირებით, რომელიც 2023 წლის 30 ივნისის კანონის საფუძველზე უნდა ჩანაცვლებულიყო ,,წყლის რესურსების მართვის შესახებ" საქართველოს კანონით, ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით უცვლელად დარჩა.

8. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის 1-ლ აპრილს ცვლილებები შევიდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ კოდექსის ტექსტს დაემატა ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიის მარეგულირებელი ნორმა, კერძოდ განისაზღვრა, რომ ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს რეგულირებული სფეროსთვის მიკუთვნებული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების პოლიტიკის პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე აყალიბებს მიდგომებს დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას სულ მცირე 4 წელიწადში ერთხელ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2028 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყოს ბაზარზე ზედამხედველობის პირველი ეროვნული სტრატეგიის დამტკიცება.

2026 წლის 1-ლი აპრილის კანონის მიხედვით, შეიცვალა მწარმოებლის, დისტრიბუტორისა და ავტორიზებული წარმომადგენლის ტერმინები. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მიხედვით, მწარმოებელია ნებისმიერი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელიც პროდუქტს აწარმოებს ან ბაზარზე განათავსებს საკუთარი სახელით ან საკუთარი სავაჭრო ნიშნით. დისტრიბუტორად მიიჩნევა მიწოდების ჯაჭვში ჩართული ნებისმიერი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და არ არის მწარმოებელი ან იმპორტიორი. რაც შეეხება ავტორიზებულ წარმომადგენელს, იგი წარმოადგენს მწარმოებლის მიერ ავტორიზებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს მწარმოებლის მიერვე გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, მწარმოებლის სახელით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ან/და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული გარკვეული ვალდებულებების შესასრულებლად. ავტორიზებულ წარმომადგენელს მწარმოებლის ნაცვლად შეიძლება მიმართოს უფლებამოსილმა პირმა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

2026 წლის 1-ელ აპრილს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთაგან აღსანიშნავია კოდექსის ტექსტში დამატებული ბაზარზე ზედამხედველობის მარეგულირებელი თავი. აღნიშნული თავი არეგულირებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობის განხორციელების საკითხებს, რომელთა მიმართაც დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის

იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო). ამ თავის მოქმედება ვრცელდება როგორც საქართველოში წარმოებულ, ისე იმპორტირებულ პროდუქტებზე. აღნიშნული სიახლე არ არეგულირებს იმ პროდუქტების ზედამხედველობის განხორციელების საკითხებს, რომლებზედაც ვრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოქმედება.

2026 წლის 1-ელი აპრილის კანონით განისაზღვრა, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს „ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის №539 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა, ხოლო შესაბამისმა უწყებებმა კი - სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნული ცვლილებები/სიახლეები ამოქმედდა 2026 წლის 1-ლი ივნისიდან.

9. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2026 წლის აპრილი - მაისის განმავლობაში რამდენიმე ცვლილება ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონში.

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ამ კანონის მოქმედება მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე, თუ მას ახორციელებს/ახორციელებენ:

- „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

ამ კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულებაზე, თუ იგი ახორციელებს ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემდეგ საქმიანობებს:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების;
- სასამართლო -სამედიცინო ექსპერტიზა;
- სასამართლო -ფსიქიატრიული ექსპერტიზა;
- პათოლოგანატომიური საქმიანობა;
- განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე საქმიანობის;
- საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობა.

სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულებას ასევე არ ესაჭიროება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის მოპოვება.

ამ კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება სსიპ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრზე, თუ იგი ახორციელებს ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონით

გათვალისწინებულ განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე საქმიანობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შესაბამისი ლიცენზიის მოპოვების ვალდებულება არ ვრცელდება ა(ა)იპ ცენტრალური სისხლის დაწესებულებაზე, თუ იგი ახორციელებს საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობასა და ადამიანის სისხლის კომპონენტის (პლაზმის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამკურნალო საშუალების საწარმოებლად) საქართველოდან ექსპორტს.

დამატებით საყურადღებოა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს არ ესაჭროება ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის, რადიოაქტიური მასალის ქვეყნის შიგნით შეძენის, რადიოაქტიური მასალის იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის, რადიოაქტიური მასალის მწარმოებელთან დაბრუნების, ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუს იმპორტი-ექსპორტისა და რადიოაქტ იური ნარჩენების ექსპორტის განსახორციელებლად შესაბამისი ნებართვის მოპოვება. ეს კონკრეტული ცვლილებები ამოქმედდა 1-ლი აპრილიდან.

რაც შეეხება 2026 წლის მაისში განხორციელებულ ცვლილებებს საფუძველზე კანონის ამჟამინდელ რედაქციაში განსაზღვრულია, რომ არქიტექტურის სამსახურს არ ესაჭირობა ,,ნებართვებისა და ლიცენზიების შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიისა თუ ნებართვის მოპოვება, თუ იგი ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებსა და არქეოლოგიური სამუშაოებს. ამ შემთხვევაში ნებართვის გაცემის წესსა და სანებართვო პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა. მითითებული ცვლილება ამოქმედდა 2026 წლის 14 მაისს.

2026 წლის მაისში განხორციელებული ცვლილებები ასევე განსაზღვრავს, რომ ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტზე ან სხვა თვითმმართველი ქალაქის მერისა ანდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან სხვა თვითმმართველი ქალაქის მიერ დაფუძნებულ იურიდიული პირზე თუ იგი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- მშენებლობა (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა);
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოები;

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილებები ასევე შეეხო საქართველოს დედაქალაქში ან სხვა თვითმმართველ ქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის წესსაც. საყურადღებოა, რომ საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვას გასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, მის მიერ უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, ხოლო სხვა თვითმმართველ ქალაქში – ამ თვითმმართველი ქალაქის მერიის სტრუქტურული ერთეული ან თვითმმართველი ქალაქის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ნებართვის მაძიებელი საქართველოს დედაქალაქში ან სხვა თვითმმართველ ქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით(M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს. საქართველოს დედაქალაქში ან სხვა თვითმმართველ ქალაქში მსუბუქი ავტომობილით–ტაქსით (M1 კატეგორია)გადაყვანის ნებართვის გაცემისას მოსაკრებელი არ გადაიხდევინება. მითითებული ცვლილება ამოქმედდა 29/05/2026 წელს

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28
ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)
მობილური: (+995) 555 018585
ელ-ფოსტა: info@nplaw.ge
www.nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS